



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ეკონომიკა

ქუთაისი

2011

1. პროგრამის დასახელება: ეკონომიკა

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი

Master in Economics

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

მათ შორის: სავალდებულო კურსები - 45 ECTS კრედიტი

არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტი

3 არჩევითი კონცენტრაცია - 60 ECTS კრედიტი

4. სწავლების ენა: ქართული

5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს ეკონომიკის სფეროს სისტემური და სიღრმისეული დებულებებისა და კატეგორიების გაცნობიერების საკმარისი თეორიული ცოდნა;

- უზრუნველყოს, ეკონომიკური კანონზომიერებების შემეცნების საფუძველზე, ეროვნული მეურნეობის სექტორებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, რეგიონული და მუნიციპალური მართვის სფეროებში ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზისა და კონკრეტული პრობლემური საკითხების პრაქტიკაში გადაწყვეტის უნარ-ჩვევების განვითარება;

- ჩამოუყალიბოს სტუდენტს, მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, როგორც ფირმის (ორგანიზაციის) ისე მისი ნებისმიერი დონის სტრუქტურის ხელმძღვანელობის უნარი კონკურენტულ გარემოში (საკუთარ ბიზნესში, არასამთავრობო ორგანიზაციაში, საჯარო და/ან კერძო სექტორში);

- უზრუნველყოს კვალიფიკაციის შემდგომი ამდლების შესაძლებლობა სწავლის მომდევნო საფეხურზე.

- ჩამოუყალიბოს კურსდამთავრებულს პედაგოგიური უნარჩვევების საფუძველი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამებში ეკონომიკური პროფილის კურსების სწავლებისათვის.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კომპეტენციების წინასწარი იდენტიფიცირება

-ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი და საუნივერსიტეტო მაპროფილზელი გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

7. სწავლის შედეგი: ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ათვისებით სტუდენტს

ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა/გაცნობიერება:

დაგროვილი ძირითადი თეორიული დებულებების და პრინციპების გაცნობიერებისა და კრიტიკული გააზრების საფუძველზე, ეკონომიკურ საქმიანობაში ორიგინალური და ინოვაციური იდეების შემუშავების, რეალიზაციის და მმართველობითი საქმიანობის პრობლემების გადაჭრისათვის საკმარისი ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- მიკრო, მაკრო და მეგა ეკონომიკურ გარემოში საქმიანობაში ალღოს აღებისა და სწრაფი ადაპტაციის; მიმდინარე და/ან დაგროვილი პრობლემური საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტის ორიგინალური და პროდუქტიული გზების მოძიების, აღმოჩენის და ანალიზის საფუძველზე, მისი ეფექტიანობის დადასტურება-იდენტიფიცირების; კვლევის ტრადიციული და უახლესი მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენების და ინდივიდუალური მიდგომის უნარი.

✓ „**რეგიონული ეკონომიკა და მუნიციპალური მართვის**“ *კონცენტრაციით*. დაგეგმავს და წარმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ეფექტურად გამოყენების პროცესს; შეიმუშავებს გუნდურ და დამოუკიდებელ წინადადებებსა და რეკომენდაციებს რეგიონური და მუნიციპალური მართვის ფორმების და მეთოდების მუდმივი განახლებისა და სრულყოფის მიმართულებით; მოიძევს და შეარჩევს რეგიონის სტრატეგიული განვითარების და მართველობის დეცენტრალიზაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტებს; მიიღებს მონაწილეობას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პროექტების შემუშავების პროცესში და შეარჩევს განხორციელების ახალ ორიგინალურ და/ან ეფექტურ გზებს;

✓ „**საერთაშორისო ეკონომიკის**“ *კონცენტრაციით*. განახორციელებს და უხელმძღვანელებს ოპერაციებს საერთაშორისო სასაქონლო, შრომით, ფინანსურ და სავალუტო-საკრედიტო ბაზრებზე, აწარმოებს მათ მარკეტინგულ კვლევას, გამოიცნობს მომხმარებელთა და მწარმოებელთა ქცევის თავისებურებებს და მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობათა კანონზომიერებებს; მოამზადებს პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ერთობლივი საწარმოს სტრატეგიული განვითარების გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად და შეიმუშავებს მისი მართვის უზრუნველყოფს გზებს; შეაფასებს პარტნიორების და კონკურენტების საბაზრო პოტენციალს და მიიღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს.

✓ „**ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის**“ *კონტრაციით*. მიიღებს მონაწილეობას საერთო სახელმწიფოებრივ და რეგიონულ დონეზე სოციალური, დემოგრაფიული და

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაში და უხელმძღვანელებს მისი განხორციელების პროცესებს; გაიანგარიშებს მახასიათებელი პარამეტრების ზომას და/ან საპროგნოზო მაჩვენებლების ზუსტ საზღვრებს. ჩამოყალიბდება სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების უნარი. მონაწილეობას მიიღებს საწარმოო პოტენციალის განსაზღვრის და სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში; განახორციელებს საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის ანალიზს; მრავალმხრივი ანალიტიკური ხერხების გამოყენებით გაანალიზებს ბიზნეს პროცესების, საფინანსო-საბანკო საქმიანობის, საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტი) შედეგებს.

დასკვნის უნარი:

- სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ინფორმაციის მრავალგვარობის პირობებში, ინტუიციური მიხვედრების, მეცნიერული მიგნებებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის უნარი;

კომუნიკაციის უნარი:

- საყოველთაოდ აღიარებული აკადემიური პატიოსნების და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო წიგნიერების გათვალისწინებით, აკადემიურ და/ან პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხო ენაზე მიღებული კვლევის შედეგების შეჯამების, პროგნოზირების და დასკვნების ჩამოყალიბების, შესაბამისად, მათი არგუმენტირებული დაცვის და გამოხატვის, საბოლოოდ, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების უნარი;

სწავლის უნარი:

- ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის პროცესში და/ან დასაქმების ადგილზე კარიერული წინსვლის მიზნით, საკუთარი ცოდნისა და სწავლის პროცესის უწყვეტი განვითარების აუცილებლობის გაცნობიერების და ეტაპობრივი განხორციელების უნარი;

ღირებულებები:

- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ვალდებულებების გააზრების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების, საქმიანობის და ურთიერთობის პროცესში ურთიერსარგებლიანობის პრინციპის და საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობის თვითშეგნება;

- საზოგადოებაში პიროვნული როლის განსაზღვრის და ადგილის დამკვიდრების, საკუთარი პროფესიით სიამაყისა და პროფესიული პატრიოტიზმის, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გააზრება და საკუთარი საქმიანობის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი შეხამების უნარი;

- საკუთარი მიღწევების თვითკრიტიკული და სხვათა შესაძლებლობების და მიღწევების რეალური შეფასებისა და პატივისცემის თვისება; საქმიანობის პროცესში გადაწყვეტილების მიღების და გუნდურ მუშაობაში ახალი ღირებულებების დამკვიდრების უნარი.

კომპეტენციათა მატრიცა

კურსის დასახელება	კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I. სავალდებულო კურსები						
მეტაეკონომიკა	X		X		X	X
ეკონომიკური პოლიტიკა 1	X		X	X	X	X
უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა	X	X			X	X
მიკროეკონომიკა 2	X	X	X	X		X
მაკროეკონომიკა 2	X		X	X	X	X
ეკონომიკური კვლევის მეცნიერული საფუძვლები	X	X	X		X	X
ეკონომიკური პოლიტიკა 2	X		X	X	X	X
ეკონომიკური დემოგრაფია	X	X	X	X	X	X
გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	X	X	X	X	X	X
II. არჩევითი კურსები						
PR-ის ტექნოლოგიური საფუძვლები	X	X		X	X	
პედაგოგიკის ზოგადი კურსი	X	X			X	X
ინვესტიციათა შეფასების ეკონომიკური ანალიზი	X	X	X		X	

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	X	X	X		X	
ეკონომიკის სწავლების მეთოდика	X		X	X	X	X
ინვესტიციური მენეჯმენტი და საწარმოს ფინანსური სტრატეგია	X	X	X		X	X
დარგობრივი (ინგლისური) უცხო ენა 1	X	X		X		
დარგობრივი (ინგლისური) უცხო ენა 1	X	X		X		
III. სპეციალობის არჩევითი კონცენტრაციები						
III.1 რეგიონული ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა						
სახელმწიფოთა ტერიტორიული მოწყობის თანამედროვე მოდელები	X	X	X		X	
სამაგისტრო ნაშრომი 1	X	X	X	X	X	X
რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა	X	X	X	X		
სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები	X	X	X	X	X	X
რეგიონული თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი 2	X	X	X	X	X	X
ინსტიტუციური ეკონომიკის კონცეფციები	X	X	X		X	X
პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი 3	X	X	X	X	X	X
III.2 საერთაშორისო ეკონომიკა						
ფინანსური ბაზრები და ფინანსური ინსტრუმენტები	X	X		X		X
სამაგისტრო ნაშრომი 1	X	X	X	X	X	X
საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
გლობალური მარკეტინგი	X	X	X	X		
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი 2	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო საფინანსო, სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	X	X	X	X		

პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი 3	X	X	X	X	X	X
III.3 ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა						
სოციალური სტატისტიკა	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი 1	X	X	X	X	X	X
კომერციის სტატისტიკა	X	X	X			
საბაჟო სტატისტიკა	X	X	X		X	
სოციოლოგიური კვლევების ანალიზი	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი 2	X	X	X	X	X	X
საფონდო და სავალუტო ბირჟების სტატისტიკა	X	X	X	X	X	
პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი 3	X	X	X	X	X	X

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- **საკონტაქტო:**

- ✓ **ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე პრობლემის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით.
- ✓ **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობა წინასწარ მიცემული საკითხის, თემის, პრობლემის და ა.შ. შესახებ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. განმეორებით განიხილება გაუგებარი საკითხები;
- ✓ **საქმიანი თამაშები** - სხვადასხვა საწარმოო სიტუაციებში, წინასწარ დადგენილი წესებით, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების იმიტაციური მეთოდი (რეალურ ობიექტზე ექსპერიმენტების ჩატარების გარეშე მოვლენის შინაარსის გაცნობიერება) სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ორგანიზაციის გზით. იგი სტუდენტებისათვის სინამდვილესთან მიახლოებულ სიტუაციაში ეკონომიკური ქცევის ნორმების შეცნობის საშუალება და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ათვისებაა, რომელიც აუცილებლად მოიცავს თამაშის მიზნის, დავალების, პირობების და წესების გაცნობას.

- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.
 - **პროფესიული პრაქტიკა** - სასწავლო მეცადინეობის სახე, რომლის პროცესში სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ განსაზღვრული პროგრამით გათვალისწინებულ საწარმოო დავალებებს მომქმედ ორგანიზაციაში (აწსუ პედაგოგიური და პროფესიული პრაქტიკის სამსახურთან შეთანხმებით) და შეიძენენ ეკონომიკური საქმიანობის მართვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ცოდნასა და სიახლეებს.
 - **სამაგისტრო ნაშრომი** - სტუდენტის ანგარიშია არჩეული კონკრეტული საკითხის, ან პრობლემის შესწავლის და გადაჭრის მიზნით. იგი განსაზღვრული დამოუკიდებელი კვლევის შედეგია საგნობრივ-პროფესიულ სფეროში, რომელშიც სტუდენტი წარმოაჩენს კვლევის საგნის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონეს და დასახული ამოცანების გადაჭრის უნარს.
- სწავლის სასურველი შედეგის მიღწევის პროცესის მართვისათვის შესაძლებელია სტუდენტმა დამატებით მიმართოს პედაგოგს (საკონსულტაციო დრო მითითებულია ცალკეული კურსის სილაბუსში).

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის ათვისების მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს, ხოლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ მაგისტრის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
 - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არჩევით კონცენტრაციებს: „რეგიონული ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა“, „საერთაშორისო ეკონომიკა“ და „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“.

ცალკეულ კონცენტრაცია სწავლების IV სემესტრში ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირებას რეალურ პროცესთან; საწარმოო პროცესებში სტუდენტების ჩართვას და მომავალი კარიერული განვითარების სფეროს და/ან პერსპექტივების განსაზღვრაში ხელშეწყობას;

თითოეული კონცენტრაცია მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, რომლის მიზანია განუვითაროს მაგისტრანტს პრობლემის კონცეპტუალური ხედვის უნარი და

ჩამოყალიბოს მეცნიერული კვლევითი უნარ-ჩვევები, რომელთა განხორციელება იწყება II სემესტრში (5 კრედიტი), გრძელდება III სემესტრში (5 კრედიტი) და სრულდება ნაშრომის პრეზენტაციით და დაცვით IV სემესტრში (20 კრედიტი).

სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: ეკონომიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი

№	კურსის დასახელება	კრ*	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პ/ჯგ	სემესტრი			
			სულ	საკ	დამ		I	II	III	IV
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
I. სავალდებულო კურსები										
I.1	მეტაეკონომიკა	5	125	36	89	2/0/1	x			
I.2	ეკონომიკური პოლიტიკა 1	5	125	36	89	2/0/1	x			
I.3	ეკონომიკური კვლევის მეცნიერული საფუძვლები	5	125	36	89	2/0/1	x			
I.4	მიკრო ეკონომიკა 2	5	125	36	89	1/0/2	x			
I.5	მაკრო ეკონომიკა 2	5	125	36	89	2/0/1	x			
I.6	უმადლესი სკოლის დიდაქტიკა	5	125	45	80	2/0/1		x		
I.7	ეკონომიკური პოლიტიკა 2	5	125	45	80	2/0/1		x		
I.8	ეკონომიკური დემოგრაფია	5	125	45	80	1/0/2		x		
I.9	გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	5	125	45	80	1/0/2			x	
სულ		50	1125	360	765	-				
II. არჩევითი კურსები **										
II.1	PR ტექნოლოგიების საფუძვლები	5	125	36	89	1/0/2	x			
II.2	პედაგოგიკის ზოგადი კურსი	5	125	36	89	2/0/1	x			
II.3	დარგობრივი (ინგლისური) უცხო ენა 1	5	125	36	89	0/0/3	x			
II.4	ინვესტიციათა შეფასების ეკონომიკური ანალიზი	5	125	45	80	1/0/2		x		

II.5	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5	125	45	80	2/0/1		x		
II.6	დარგობრივი (ინგლისური) უცხო ენა 1	5	125	45	80	0/0/3		x		
II.7	ეკონომიკის სწავლების მეთოდოლოგია	5	125	45	80	1/0/2			x	
II.8	ინვესტიციური მენეჯმენტი და კომპანიის ფინანსური სტრატეგია	5	125	45	80	1/0/2			x	
სულ		15	375	126	249					
III. სპეციალობის არჩევითი კონცენტრაციები***										
III.1	რეგიონული ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა									
III.1.1	სახელმწიფოთა ტერიტორიული მოწყობის თანამედროვე მოდელები	5	125	45	80	2/0/1		x		
III.1.2	სამაგისტრო ნაშრომი 1	5	125	15	110			x		
III.1.3	რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა	5	125	45	80	2/0/1			x	
III.1.4	სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები	5	125	45	80	2/0/1			x	
III.1.5	რეგიონული მმართველობა და დეცენტრალიზაცია	5	125	45	80	2/0/1			x	
III.1.6	სამაგისტრო ნაშრომი 2	5	125	15	110				x	
III.1.7	ინსტიტუციური ეკონომიკის კონცეფციები	5	125	45	80	2/0/1				x
III.1.8	პროფესიული პრაქტიკა	5	125	15	110					x
III.1.9	სამაგისტრო ნაშრომი 3	20	500	30	470					x
სულ		60	1500	300	1200					
III.2	საერთაშორისო ეკონომიკა									
III.2.1	ფინანსური ბაზრები და ფინანსური ინსტრუმენტები	5	125	45	80	2/0/1		x		
III.2.2	სამაგისტრო ნაშრომი 1	5	125	15	110			x		

III.2.3	საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა	5	125	45	80	1/0/2			x	
III.2.4	საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები	5	125	45	80	2/0/1			x	
III.2.5	საერთაშორისო ბიზნესი გლობარულ გარემოში	5	125	45	80	2/0/1			x	
III.2.6	სამაგისტრო ნაშრომი 2	5	125	15	110				x	
III.2.7	საერთაშორისო საფინანსო, სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	5	125	45	80	2/0/1				x
III.2.8	პროფესიული პრაქტიკა	5	125	15	110					x
III.2.9	სამაგისტრო ნაშრომი 3	20	500	30	470					x
სულ		60	1500	300	1200					
III.2.	ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა									
III.2.1	სოციალური სტატისტიკა	5	125	45	80	1/0/2		x		
III.2.2	სამაგისტრო ნაშრომი 1	5	125	15	110			x		
III.2.3	კომერციის სტატისტიკა	5	125	45	80	1/0/2			x	
III.2.4	საბაჟო სტატისტიკა	5	125	45	80	1/0/2			x	
III.2.5	სოციოლოგიური კვლევების ანალიზი	5	125	45	80	1/0/2			x	
III.2.6	სამაგისტრო ნაშრომი 2	5	125	15	110				x	
III.2.7	საფონდო და სავალუტო ბირჟების სტატისტიკა	5	125	45	80	1/0/2				x
III.2.8	პროფესიული პრაქტიკა	5	125	15	110					x
III.2.9	სამაგისტრო ნაშრომი 3	20	500	30	470					x
სულ		60	1500	300	1200					
მთლიანად პროგრამით		120	3000	786	2214					

* გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: **კრ.** - კრედიტი, **საკ** - საკონტაქტო, **დამ** - დამოუკიდებელი მუშაობა; **ლ/პ/ჯგ** - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა.

** I სემესტრში „უმალესი სკოლის პედაგოგია 1“-ის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი ავტომატურად აგრძელებს II სემესტრში „ეკონომიკის სწავლების მეთოდის“-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია აითვისოს სხვა კურსები, შესაბამის სემესტრებში.

*** სტუდენტები II სემესტრიდან ირჩევენ მათთვის სასურველ კონცენტრაციას. კონცენტრაციით გათვალისწინებულ კურსებს აითვისებენ შესაბამის ჯგუფებში.